სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

06 თებერვალი, 2026 წელი

ბრძანება №01-02/31

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის **საქმისწარმოების ინსტრუქციის** დამტკიცების შესახებ" **ბსუ-ს რექტორის** მოვალეობის შემსრულებლის **2016 წლის 16 თებერვლის**

№01-08/6 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის, ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონით და ამ კანონის აღსრულებისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის N463 დადგენილების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 8 თებერვლის №01-02/11 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 06 თებერვლის №01-02/29 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმისწარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2016 წლის 16 თებერვლის **№01-08/6** ბრძანებაში **შევიდეს ცვლილება,** კერძოდ, ბრძანების №1 დანართში **(ინსტრუქცია)**:

ა) მე-5 მუხლის (,,უნივერსიტეტის პერსონალის პირად საქმეთა წარმოება") **პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,1. უნივერსიტეტის პერსონალის პირადი საქმეების გახსნას, წარმოებას (მატერიალური და ელექტრონული) და აღრიცხვას უზრუნველყოფს ბსუ-ში ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული. დასაქმებულის პირად საქმეში განსათავსებელი დოკუმენტაციის (ამ მუხლით ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაცია, ცნობები, სერტიფიკატები, პროფესიული განვითარების/კვალიფიკაციის დამადასტურებელი ან სხვა) წარმოდგენის, ასევე განახლების საჭიროების თაობაზე ბსუ-ს პერსონალის ინფორმირებას ბსუ-ში ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული ახორციელებს ბსუ-ს იმ სტრუქტურული ერთეულის ჩართულობით/თანამშრომლობით (ბსუ-ს ფაკულტეტი/ინსტიტუტი/დამხმარე სტრუქტურული ერთეული), სადაც დასაქმებულია (უნდა დასაქმდეს) შესაბამისი

პირი. დასაქმებულის შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობის (პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შრომითი დატვირთვის პერიოდის) გათვალისწინებით მისი პირადი საქმე ექვემდებარება პერიოდულ შემოწმებას (გადასინჯვას) არანაკლებ ერთ წელში ერთხელ.";

ბ) მე-5 მუხლის („უნივერსიტეტის პერსონალის პირად საქმეთა წარმოება") **მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„დ) დასაქმებულის დანიშვნის/არჩევის სამართლებრივი აქტი/კონკურსის შედეგების დამტკიცების აქტი/შრომითი ხელშეკრულება (ასევე საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის/მოდულის განხორციელებაზე წინასწარი შეთანხმება, წინარე (პირობითი) შრომითი ხელშეკრულება, მათი გაფორმების შემთხვევაში), აფილირების შეთანხმებები/შრომითი დატვირთვის განსაზღვრის განაცხადები (აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის შემთხვევაში);";

გ) მე-6 მუხლის („6. სტუდენტის და პროფესიული სტუდენტის პირადი საქმეების წარმოება") **მე-3 პუნქტის** („3. უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში უნდა განთავსდეს პროფესიული სტუდენტის:") „ბ" ქვეპუნქტიდან ამოღებული იქნეს ჩანაწერი „სარეგისტრაციო განცხადება" და აღნიშნულის გათვალისწინებით **„ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ბ) არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში - პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირის პირადობის მოწმობის ასლი და დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მის სათანადო უფლებამოსილებას წარმომადგენლობაზე (დაბადების მოწმობა/მეურვეობის დამადასტურებელი დოკუმენტი);";

დ) მე-6 მუხლის („6. სტუდენტის და პროფესიული სტუდენტის პირადი საქმეების წარმოება") **მე-4 პუნქტის** („4. უნივერსიტეტის სტუდენტის პირად საქმეში უნდა განთავსდეს პროფესიული სტუდენტის:") „ბ" ქვეპუნქტიდან ამოღებული იქნეს ჩანაწერი „სარეგისტრაციო განცხადება" და აღნიშნულის გათვალისწინებით **„ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
„ბ) არასრულწლოვანი სტუდენტის შემთხვევაში - სტუდენტის ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირის პირადობის მოწმობის ასლი და დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მის სათანადო უფლებამოსილებას წარმომადგენლობაზე (დაბადების მოწმობა/მეურვეობის დამადასტურებელი დოკუმენტი);".

2. წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით მომზადდეს კოდიფიცირებული „ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქცია" და განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდის შესაბამის ველებში.
3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (იურიდიული ცნობარის ველებში - „ბსუ-ს რექტორის ბრძანებები" და „საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები").
4. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ფაკულტეტებს, ინსტიტუტებს, იურიდიულ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს

(კანცელარია), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და სხვა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არაშიძე**